შპს „უნივერს კრედიტის“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უნივერს კრედიტის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და ამავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის თაობაზე.

აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უნივერს კრედიტის“ თანმხლები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. „უნივერს კრედიტის“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯიამ“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული

მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“

24 მაისი, 2019 წელი

კომპანიის შექმნის ისტორია

ჩვენი კომპანია, შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „უნივერს კრედიტი", დაფუძნდა 2012 წლის 12 მარტს ქ. თბილისში, ს/ნ 401968340 და წარმოდგენილია ერთი ფილიალით.

საქმიანობის მიმოხილვა

ორგანიზაციის მთავარ მიზანს დაარსებიდან დღემდე წარმოადგენს ფიზიკური პირებისა და მცირე მეწარმეების იმ სეგმენტის დაკრედიტება, რომლებიც დამატებით ფინანსურ რესურს საჭიროებს თავიანთი ბიზნესის განვითარებისთვის ან სხვა სამომხარებლო მიზნებისათვის.

ორგანიზაციის საკრედიტო პოლიტიკით განისაზღვრა მინიმალური საპროცენტო და საჯარიმო განაკვეთები, რაც არსებობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარზე.

თავიდანვე ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევდით კომპანიის მობილურობას, რაც გულისხმობდა სესხის გაცემას მინიმალურ ვადებში. ორგანიზაციის მენეჯმენტმა დამატებითი ფინანსური სახსრები იურიდიული და ფიზიკურებისგან მოიზიდა. თუმცა დღეის მდგომარეობით ვალდებულებები კრედიტორების მიმართ აღარ გვაქვს.

ჩვენ ფინანსურ აღრიცხვას ვაწარმოებთ ალტა სოფთვეარიდან შეძენილი პროგრამული უზრუნველყობით, რომელსაც აქვს ბუღალტრული და სასესხო მოდული. მოდულებს პერიოდულად ვანახლებთ ბოლო ვერსიამდე.

შეთავაზებული მომსახურეობის კლასიფიკაცია და მათი დახასიათება

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებული იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის განსაზღვული მომსახურების სრული სპექტრი, საბლოო ჯამში განისაზღვრა ორი ძირითადი მიმართულება:

- სამომხმარებლო სესხები
- იპოთეკური სესხები



*თანხები მოცემულია ლარში

ჩვენ მიერ გაცემული სესხები იყოფა მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებად. იხ. დიაგრამა.



*თანხები მოცემულია ლარში

გაცემული სესხები 2018 წელს შემცირებულია 2017 წელთან შედარებით, რაც განპირობებულია კანონში განხორციელებული ცვლილებებით.

ჩვენი სასესხო პორტფელი მიუხედავად ბაზარზე არსებული მდგომარეობისა საკმაოდ კარგია და მოიცავს ძალიან მცირე უიმედო და საეჭვო სესხებს. მთლიანი პორტფელის მხოლოდ 5% შეგვიძლია ჩავთვალოთ უიმედოდ.

ნასესხები სახსრები 2018 წლის მდგომარეობით საგრძნობლად შევამცირეთ, დღეის მდგომარეობით კი კრედიტორები საერთოდ აღარ გვყავს.



*თანხები მოცემულია ლარში

აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის ცვლილება წლების მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:



*თანხები მოცემულია ლარში

რასაკვირველია, გაცემული სესხების შემცირებამ გამოიწვია საპროცენტო შემოსავალის კლება.



წლიური მოგება ბოლო სამი წლის განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურება:



რიცხვების გრაფიკული ასახვა (მაგ. ბოლო წლების მოგება, გაცემული სესხების რაოდენობა, რამდენი იყო სამომხარებლო და იპოთეკური და როგორ ივცვლებოდა წლების მიხედვით) იხ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

წელი	საბალანსო მოგება	საკრედიტო დაბანდება	მსესხებელთა რაოდენობა
2014	131 480	1 496 625	173
2015	367 729	2 215 660	167
2016	378 226	3 178 717	210
2017	346 539	2 471 852	173
2018	237 211	1 399 075	86



თანამშრომლები, რაოდენობა, კვალიფიკაცია

ორგანიზაციაში დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობა შეადგენს 5 თანამშრომელს. თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი კვალიფიციური სპეციალისტია, თუმცა ორგანიზაცია ცდილობს დაასაქმოს დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. ასევე პერიოდულად სტაჟირებაზე აყავს დაინტერესებული ახალგაზრდები, რომლებიც სამუშაო გამოცდილებასთან ერთად ანაზღაურებასაც იღებენ.

ბაზრის მიმოხილვა

ფინანსური ბაზარი დინამიურად ვითარდება და ორგანიზაცია ცდილობს მუდმივად შეისწავლოს ბაზრის კონიუნქტურა. მიმდინარე ეტაპზე საკმაოდ მრავლად არის წარმოდგენილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც მსგავს სეგმენტზე ოპერირებენ, ასევე ბანკებსაც აქვთ მსგავსი მომსახურება

იპოთეკური ლომბარდის სახით, რაც ქმნის მკაცრ კონკურენტულ გარემოს. კონკურენტული საპროცენტო განაკვეთები ორგანიზაციას აძლევს უპირატესობას საფინანსო ბაზარზე.

რეგულაციების გავლენა საქმიანობაზე

უკანასკნელ პერიოდში ამოქმედებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ორგანიზაციის საქმიანობაზე. ორგანიზაციას მოზიდული სახსარი უცხოურ ვალუტაში ქონდა. გალარების პოლიტიკის შემგომ იძულებული გახდა ორგანიზაცია დაეზღვია რისკები და განახორციელა ბანკთან სვოპ ოპერაციები ან ეგრეთ წოდებული ქეშ ქოვერები. ამან გამოიწვია რესურსზე ხარჯის ზრდა, რაც აისახა სასესხო საპროცენტო განაკვეთის ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება სხვა შეზღუდვებს, ორგანიზაციამ მიმართა ალტა სოფთვეარს და პროგრამულად მოახდინა ყველა იმ შეზღუდვის პროგრამაში ასახვა რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს. რისკების დაზღვევის მიზნით ორგანიზაციამ სრულად მოახდინა მოზიდული სახსრების უკან დაბრუნება. ასევე ორგანიზაციამუშაობს შეცვალოს საკრედიტო პოლიტიკა ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად ,რათა სრულად პასუხობდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პირნციპებს.

რას ვგეგმავთ მომავალში

როგორც ცნობილია კვლავ იგეგმება რიგი შეზღუდვების დაწესება, ორგანიზაცია თვალყურს ადევნებს ყველა კანონპროექტის შემუშავებას, რაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეხებათ. ორგანიზაცია გეგმავს ჩაატაროს AML (ფულის გათეთრების) კუთხით სრული აუდიტისპეციალისტები და ჩაატაროს სრულად მიმდინარე საქმიანობის სრული მისი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება და სრულყოფა. ასევე აპირებს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად კრედიტინფოში ჩართვას.

რისკები

ჩვენს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკი შეიძლება იყოს საკრედიტო რისკი, საოპერაციო რისკი, საბაზრო რისკი.

კომპანია მაქსიმალურად ცდილობს საკრედიტო და საოპერაციო რისკების მინიმიზაციას სწორად განხორციელებული საქმიანობით. მაგალითად, საკრედიტო რისკებს ვამცირებთ მომხმარებლების საქმიანობისა და საკრედიტო ისტორიის საფუძვლიანად შესწავლით.